დამკვეთი: შპს თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატე"
(558 13 60 61)

საფუძველი: განცხადება 05.08.2013წ. 12/13217387-16

მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა თამარაშვილი, №4

საკ. კოდი: 01.14.07.008.090

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 03.10.2012წ. №376279 AR168079

ფუნქციური დანიშნულება: მიშენება - დაშენება III კლასის

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (08.08.13) დადგინდა:

შეცლილია ღიობების გაბარიტი და მონაცვლებული აქვს ადგილი. ფასადებზე შელესვის ნაცვლად შეფრქვეულია ცემენტის ხსნარი. აივნის ძირები და „1-4" ფასადი არ არის შეღებილი. დამატებულია ერთი წყლის გადამყვანი მილი. შეცვლილია მოაჯირის ნახატები. არ არის მოწყობილი ფრანგული აივნის მოაჯირები. გადახურვის ფილას ნაწილი გამოსულია ფასადის სიბრტყიდან. შემცირებულია გარე კედლების კვეთი 0.15მ-ით. შეცვლილია შიდა კიბეების კონფიგურაცია და გაბარიტი. „ბ-ბ" და „დ-დ" ღერძებს შორის შემცირებულია მანძილი 0.3მით. „2-2" და „4-4" ღერძებს შორის კოლონები გადაადგილებულია „2-2" ღერძის მიმართულებით 0.4მ-ით. „ა-ა" და „2-2" ღერძების კვეთაზე კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი.

„1-4" ფასადზე **(სამეზობლო მიჯნაზე)** დამატებულია ექვსი მინაბლოკის ღიობი. „3-4" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა.

+8.25 ნიშნულზე „ა-ბ" მონაკვეთში გაზრდილია კედლებს შორის მანძილი 0.2მ-ით. „4-4" ღერძის გარეთ „ბ-ბ" ღერძზე დამატებულია კარის ღიობი. „3-4" მონაკვეთში შიდა კიბის ღიობი ნაწილობრივ შევსებულია და გაზრდილია შიდა ფართი 6კვ.მ-ით.

+11.55 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძზე გაუქმებულია სამი კოლონა. „ა-დ" მონაკვეთში გაზრდილია აივნის სიგრძე 1.1მ-ით. შეცვლილია გადახურვის ფორმა, მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები და გაზრდილია სახურავის კეხის სიმაღლე 0.6მ-ით.

ორივე სართულზე „2-1" მონაკვეთში გაზრდილია აივნის ფილა 0.3მ-ით.

პროექტის ხარვეზი: წყლის გადამყვანი მილები მოცემულია სახურავის გეგმის ნახაზზე, ფასადის ნახაზზე არ აღინიშნება.

შეამოწმა: **კ. გიორგობიანმა**